საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

საგანმანათლებლო პროგრამა - ბილოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა

თამარ კოპალიანი

მცენარე *Digitalis ferruginea*-ს ქიმიური შედგენილობის შესწავლა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

მიმართულება - 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დარგი/სპეციალობა - 0503 ქიმია

თბილისი

2018

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტეროიდული ნივთიერებების ლაბორატორიასა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **1. ალექსანდრე სხირტლაძე**
ფარმაცევტულ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **1. ნუგზარ ალექსიძე**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

2. მარიამ ბენიძე
ფარმაცევტულ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის „_____“ ___ საათზე.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის ქ. №53ᵃ, II კორპუსი, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 104 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2018 წლის „_____“

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

თემურ კივილაძე

1. ნაშრომის ზოგადი დახასიათება

1.1 თემის აქტუალობა

მიუხედავად ორგანული სინთეზის უდიდესი წარმატებისა, ბუნებრივ ნივთიერებებს და მათ შორის მცენარეული წარმოშობისას განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სამკურნალო პრეპარატების შექმნის დარგში. ბოლო ხანებში ანტიბიოტიკების, სულფანილამიდების და რიგი სხვა სინთეზური პრეპარატებისადმი მრავალი დაავადების რეზისტენტობამ (შემგუებლობამ), არასასურველმა თანამოვლენებმა, მსოფლიოში კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი მცენარეული სამკურნალო საშუალებებისადმი.

საქართველოს მრავალფეროვანი ფლორა, სადაც 4600-მდე სახეობაა აღწერილი, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა დაუშრეტელი წყაროა, ფარმაკოქიმიური კველვებისათვის განუსაზღვრელ პერსპექტივას წარმოადგენს და სხვადასხვა მოქმედების მქონე პრეპარატების შექმნის დიდ შესაძლებლობას განაპირობებს.

წარმოდგენილი შრომა საქართველოში მოზარდი *Digitalis*-ის ერთ-ერთი სახეობის *Digitalis ferruginea* L. - ჟანგოვანა სათითურას შესწავლას ეძღვნება, შემდგომში მისი გამოყენების მიზნით.

Digitalis ferruginea - ჟანგოვანა სათითურა ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დიდი ხნის კვლევის ობიექტია და გარკვეული წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ საქართველოში მოზარდი ამ მცენარის შედგენილობის შემდგომი შესწავლა ახალი კომპონენტების და საინტერესო მოქმედების მქონე საშუალებების გამოვლინების საშუალებას იძლევა.

1.2 კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

- საქართველოს ფლორის *Digitalis ferruginea*-ს ცალკეული ორგანოების სხვადასხვა კლასის ნივთიერებებით გამდიდრებული ფრაქციების მიღება, ინდივიდუალურ კომპონენტებად დაყოფა
- გამოყოფილ ნივთიერებათა თვისობრივი შესწავლა და სტრუქტურების დადგენა
- *Digitalis ferruginea*-ს პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა.

1.3 ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

შესწავლილია საქართველოში მოზარდი *Digitalis ferruginea* - ჟანგოვანა სათუთურას ცალკეული ორგანოების წონითი შეფარდება მთლიან მცენარესთან, დადგენილია რომ მცენარის ძირითადი ნაწილია ღერო, შემდეგ ფოთოლი, პერიკარპიუმი, ფესვი და თესლი.

მცენარეში კარდენოლიდების ძირითადი აგლიკონის წარმოებულები ბიოსინთეზირდება: დიგიტოქსიგენინის, გიტა-ლოქსიგენინის, გიტოქსიგენინის, დიგოქსიგენინის. დომინირებს დიგიტოქსიგენინის ნაწარმი გლიკოზიდები და მცენარე შეიძლება მოწოდებულ იქნას რადიკალური საგულე გლი-კოზიდების დიგიტოქსინისა და აცეტილდიგიტოქსინის წარმოებისათვის.

ჟანგოვანა სათითურას პერიკარპიმიდან (ნაყოფსაფარი) გამოყოფილია 9 სტეროიდული გლიკოზიდი, აქედან 6 ცნობილი და 3 ახალი ორგანული ნივთიერებაა, რომელთა სტრუქტურები დადგენილია კლასიკური ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით და

თანამედროვე სპექტრული ანალიზებით: ერთ- და ორგან-ზომილებიანი ბმრ (^{1}H, ^{13}C, HSQC, HMBC, COSY) და მას-სპექტროსკოპიით (ESI/MS).

გარდა ამისა, იზოლირებულია ოლიგოსაქარიდი, 2 კარდე-ნოლიდი - დიგიტალინუმ ვერუმი, ნეოდიგიტალინუმ ვერუმი და 3 ფენილეთანოიდი, ერთი მათგანი ახალი ორგანული ნივთიერებაა შემდეგი სტრუქტურით: 2-(3-მეთოქსი,4-ჰიდროქსიფენილ) ეთილ O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)-O-[α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)]-[α-L-არაბინოპირანოზილ-(1→2)]-4-*O-(E)*-ფერულოილ-β-D-გლუკოპირანოზიდი, რომელსაც **ფერუგოზიდი A** ეწოდა.

მოწოდებულია მცენარის თესლებიდან შეუცვლელი ქიმიური რეაქტივის - სტეროიდულ საპონინ დიგიტონინის გამოყოფის გაუმჯობესებული მეთოდი, რაც უზრუნველყოფს მისი სუფთა სახით მიღებას და გამოყენებულ უნდა იქნას ამ ძვირფასი ქიმიური რეაქტივის - კომერციული დიგიტონინის წარმოებისათვის.

PASS და ACD/I-Lab გამოყენებით ჩატარებულია *Digitalis ferruginea*-ს ფოთლების სპირტიანი ექსტრაქტის *in silico* ექსპერიმენტი. გამოვლენილია ექსტრაქტის სავარაუდო მრავალმხრივი ბიოლოგიური აქტიურობა (ალბათობა>70%), დაგენილია მისი LD_{50}.

1.4 კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

Digitalis ferruginea - ჟანგოვანა სათუთურას ცალკეული ორგანოების ექსტრაქციას ვახდენდით 80 % მეთანოლით.

თესლებს ლიპოფილური ნივთიერებებისგან ვათავისუ-ფლებდით ჰექსანით ფორექსტრაქციით.

თხელფენოვანი ქრომატოგრაფირებისათვის (თფქ) ვიყენე-ბდით სილიკაგელის ფირფიტებს (*Silicagel 60 F 254, Merck*). სვეტურ ქრომატოგრაფირებას ვახდენდით (სქ):*Diaion HP-20*-ზე, *Sefadex LH-20*-ზე და სილიკაგელზე (63/100 μm და 40/63 μm Merck).

თფქ-სათვის უნივერსალური სისტემა აღმოჩნდა: ქლორო-ფორმი–მეთანოლი–წყალი (26:14:3).

თფქ–ზე სტეროიდულ ნივთიერებებს ვამჟღავნებდით შემდეგი რეაქტივებით:

ა) *Sannie-Lapin* - სანიე-ლაპინის რეაქტივი: ვანილინის 1% სპირტიანი ხსნარი, ძმარმჟავა ანჰიდრიდის და კონც. გოგირდჟავას ნარევი (12:1);

ბ) *Matthews* - მათეუსის რეაქტივი: ვანილინის 0,5% ხსნარი ეთანოლში, გოგირდმჟავას შემდგომი დამუშავებით;

გ) *Erlich* - ერლიხის რეაქტივი: 1,4-პარადიმეთილამინო-ბენზალდეჰიდის 1% ხსნარი ეთანოლში და შემდეგ კონც. მარილმჟავა.

თფქ ფენოლური ნივთიერებების გამჟღავნებისათვის და კერძოდ ფლავონოიდებისთვის:

ა) $CeSO_4$ 2%-იანი ხსნარი კონც. გოგირდმჟავაში;

ბ) რკინის ქლორიდის 1-5% ხსნარი.

ლღობის ტემპერატურას ვსაზღვრავდით *Electrothermal 9100* აპარატზე, გაცხელებას ვახდენდით სისწრაფით 4°C/წთ.

ოპტიკურ ბრუნვას ვზომავდით *Perkin-Elmer 192* პოლარიმეტრზე.

მასს-სპექტრებს ვიღებდით *Amazon SL (Bruker*) მასს-სპექტომეტრზე.

ბმრ სპექტრულ ანალიზს ვატარებდით *Avance II 600 MHz* CD_3OD-ში.

საანალიზო ნიმუშებს ვაშრობდით ვაკუუმ-პისტოლეტში ფოსფორმჟავას ანჰიდრიდზე, ტოლუოლის დუღილის ტემპერატურაზე 4-8 სთ განმავლობაში.

1.5 ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

მოწოდებულია საქართველოში მოზარდი *Digitalis ferruginea*-ს თესლებიდან შეუცვლელი ქიმიური რეაქტივის დიგიტონინის გამოყოფის გაუმჯობესებული ხერხი, მისი გამოსავალი 1.2 % შეადგენს და შეიძლება გამოყენებული იქნას ამ ძვირფასი რეაქტივის წარმოებისათვის.

ნაჩვენებია *D. ferruginea*-ს ექსტრაქტის მოსალოდნელი მრავალმხრივი სპეციფიკური ფარმაკოლოგიური აქტივობა: პროაპოპტური (73,8 %), ოქსიდორედუქტაზას ინჰიბიტორი (74,7 %), ფუნგიციდური (75 %), Caspase 8 სტიმულატორი (76,3 %), იმუნოსუპრესული (77,9 %), ანტიქოლესტერინემული (81,9 %), დიურეზული (84,6 %), კარდიოტონური (85,7 %), ანტიკანცეროგენური (86,7 %), ანალეფსური (87,3 %), ანტინეოპლასტიკური (89 %), ქემოპრევენციული (90,9 %), ანტიპროტოზოური (95,2 %), ანტიპროლიფერაციული (95,9 %), ზოგად საანაესთეზიო (97,4 %) და Caspase 3 სტიმულატორი (97,8 %). მიღებული შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ექსტრაქტის გაღრმავებული შესწავლა, განსაკუთრებით სიმსივნის ქემოპრევენციის მიმართულებით.

Digitalis ferruginea-ს ფართოდ გავრცელება საქართველოში და მისი მდიდარი ქიმიური შედგენილობა მცენარის სხვადასხვა თვისებების მქონე ნივთიერების მიღების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს.

1.6 ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია მოიცავს: ანოტაციას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას; ექსპერიმენტულ ნაწილში აღწერილია საკვლევი ობიექტები და კვლევის მეთოდები, საკუთარი კვლევის შედეგები, მათი განხილვა, დასკვნები, ერთი დანართი. გამოყენებული ლიტერატურის სიას სადაც 139 წყაროა მითითებული. შრომა ილუსტრირებულია 28 ცხრილით, 48 სურათით და 1 დიაგრამით. ნაშრომის მოცულობა 122 გვერდია.

2. ნაშრომის ძირითადი შინაარსი

2.1 კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტად ვიყენებდით საქართველოში მოზარდ *Digitalis ferruginea*-ჟანგოვანა სათითურას.

Digitalis ferruginea L. - მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სწორი, მარტივი 40-150 სმ სიმაღლის ღეროთი და მორიგეობით განწყობილი 15-30 სმ სიგრძის ლანცეტისებრი ფოთლებით, ხშირად ჟანგისფერი ლაქებით; მტევნად შეკრული ხშირი ყვავილებით. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვის მხარეში, მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კავკასიაში. საქართველოში იზრდება შუა ქართლში, თიანეთში, გარე კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში სუბალპურ ზონაში, უმეტესწილად წიფლნარ და მუხნარ ღია და დაჩრდილულ ტყეებში.

Digitalis ferruginea-ს პირველი სერიოზული შესწავლა 1952 წ. Stoll და Renz-ის მიერ ჩატარდა, რომლებმაც თურქეთში

მოზარდი მცენარიდან ლანატოზიდები A, B, აცეტილდი-გიტოქსინი-β გამოყვეს. M. Apple და O. Gilsrold-მა აშშ მოზარდი მცენარის ნედლი ფოთლებიდან მიიღეს აცეტილდიგოქსინი-α, დიგიტოქსინი და სტეროიდული გლიკოზიდი ტიგონინი. Ulabeler თურქეთში შეგროვილი მცენარის თესლებში ლანატოზიდი A, B, C, დიგიტოქსინი, დიგოქსინი, გიტოქსინი აღმოაჩინა. Calcandi-მ ბუქარესტის ბოტანიკურ ბაღში კულტივირებულ მცენარეში დაადგინა ლანატოზიდების A, B, C, D, E, სტროსპეზიდის, ვეროდოქსინის, აცეტილდიგოქსინ-α არსებობა. გლიკოზიდთა ჯამის რაოდენობა ფოთლებში 0.72 % აღწევს. ნაჩვენები იყო, რომ *Digitalis ferruginea*-ს თესლების ძირითადი კომპონენტი არის ლანატოზიდი A, მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს აგრეთვე გლუკოევატრომონოზიდს და გლუკოგიტოროზიდს. გლიკოზიდთა საერთო რაოდენობა თესლებში 0.40 %-ს შეადგენს. არაოფიცინალური სახეობების შედარებითი გამოკვლევებით Roda-მ დაადგინა, რომ გლიკოზიდთა რაოდენობით *Digitalis ferruginea* თითქმის არ ჩამოუვარდება *D. purpurea*-ს, ხოლო ბიოლოგიური აქტიობით აჭარბებს მას.

Digitalis ferruginea-ს გამოყენების საკითხი პირველად ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში გადაწყდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში მისგან დამზადდა შვეიცარული ფირმის Hofman la Roche მიერ გამოშვებული პრეპარატის დიგალენის ანალოგიური სამკურნალო საშუალება, რომელსაც „დიგალენ-ნეო“ ეწოდა. დაიწყო მისი წარმოება და საბჭოთა კავშირის მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

2.2 კვლევის მეთოდები

სტეროიდული გლიკოზიდები ჟანგოვანა სათითურას ცალკეულ ორგანოებში სხვადასხვა რაოდენობით გროვდება და მთლიან მცენარეში მათი შემცველობა ვეგეტატიური ნაწილების წონით შეფარდებაზეა დამოკიდებული. საჭიროება მოითხოვდა ცალკეული ორგანოს წონითი შეფარდების და სტეროიდული ნივთიერებების განსაზღვრას.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მცენარეში ცალკეული ორგანოს წონითი შეფარდებითი წილი მთლიანი მცენარის მიმართ ასეთია (%): ღერო 40.7; ფოთოლი 31.8; პერიკარპიუმი 12.3; ფესვი 11.7; თესლი 3.3 (ცხრილი 1).

კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩავატარეთ მცენარის ცალკეული ნაწილების სტეროიდების შემცველობის წინასწარი ანალიზი.

ჰაერმშრალი დაწვრილმანებული ნედლეულის 100 გ-ს 80 %-იანი მეთანოლით ვწვლილავდით 3 ჯერადად. გაერთიანებული ექსტრაქტიდან სპირტს გადავდენიდით, წყლიან სითხეს ვასუფთავებდით ქლოროფორმით, ვასქელებდით, ვაშრობდით და ვწონიდით. ნაშთი გადაგვქონდა ადსორბენტ Diaion HP 20-ის სვეტზე. სვეტს ვრეცხავდით თანმიმდევრობით წყლით, 50, 80 და 100 % მეთანოლით. ელუატებს ვასქელებდით, ვაშრობდით და ვწონიდით.

ვატარებდით 80 % ჯამის სტეროიდების რაოდენობით ანალიზს სპექტროფოტომეტრული მეთოდით.

ანალიზისთვის ვიღებდით მცენარის ცალკეული ნაწილების 80 % ჯამის 5 გ. ვათავსებდით 100 მლ მოცულობის ბრტყელძირა კოლბაში, ვუმატებდით 50 მლ მეთანოლს, სითხეში ვყურსავდით შემრევ ჩხირს, კოლბას ვწონიდით და ვათავსებდით მაგნიტურ სარეველაზე ადუღებიდან 1 სთ-ის განმავლობაში. ექსტრაქციის დამთავრების შემდეგ კოლბას

ვაციებდით ოთახის ტემპერატურამდე, ვწონიდით (მასაში დანაკარგის შემთხვევაში ვავსებდით მეთანოლით) და ვფილტრავდით.

ფილტრატის 10 მლ გადაგვქონდა 50 მლ მოცულობის გამზომ კოლბში და მოცულობას ვავსებდით ჭდემდე მეთანოლით („ა“ ხსნარი). „ა“ ხსნარის 5 მლ გადაგვქონდა სინჯარაში, ვუმატებდით 5 მლ 1 % პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის ხსნარს („ბ“ ხსნარი). საკონტროლო ცდისთვის „ა“ ხსნარს ვუმატებდით 4 N ქლორწყალბადმჟავას („გ“ ხსნარი). „ბ“ და „გ“ ხსნარებს ვათავსებდით ულტრათერმოსტატში 57-60 °C ტემპერატურაზე 2 სთ. გაციების შემდეგ ოპტიკურ სიმკვრივეს ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრით (Nano spec-2) 518 ნმ ტალღის სიგრძეზე.

ფუროსტანოლური გლიკოზიდების შემცველობას ვანგარიშობდით კობალტის ქლორიდის მრუდეზე გადაანგარიშებით ფორმულით:

$$x = \frac{940{,}1 * 50 * \mathrm{m}}{\mathrm{m1} * \mathrm{K}(100 - \mathrm{w})}$$

სადაც:

- 940,1 - ფუროსტანოლური გლიკოზიდების გადაანგარიშების კოეფიციენტია კობალტის ქლორიდის კონცენტრაციაზე
- 50 - გამოსაკვლევი ხსნარის საწყისი მოცულობა, მლ
- m - კობალტის ქლორიდის რაოდენობა საკალიბრო მრუდის მიხედვით, გ
- m1 - ნედლეულის მასა, გ
- K - შესწორების კოეფიციენტი მჟავას ტიტრზე
- w - ტენიაობა

აღმოჩნდა, რომ ფოთლების გასუფთავებულ ჯამში ფუროსტანების რაოდენობა შეადგენს (%) 65, პერიკარპიუმში 54, ღეროში 16, ფესვში 21 და თესლში 46 (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მცენარის ორგანო	მთლიანი მცენარიდან მასური წილი, %	სტეროიდული გლიკოზიდების ჯამის გამოსავალი, %	ფუროსტანო-ლური გლიკოზიდების შემცველობა ჯამში, %
ღერო	40.7	1.19	16
ფოთოლი	31.8	4.41	65
პერიკარპიუმი	12.3	5.02	54
ფესვი	11.7	4.54	21
თესლი	3.3	2.15	46

ჟანგოვანა სათითურას პერიკარპიუმის საპოგენინების თვისობრივი შედგენილობის შესწავლის მიზნით პერიკარპიუმის 80 % მეთანოლიანი ექსტრაქტის მჟავურ ჰიდროლიზს ვატარებდით, რისთვისაც 20 გ ექსტრაქტს ვხსნიდით 60 მლ წყალში, ვუმატებდით 40 მლ კონც. HCl და 50% მეთანოლით გაჯერებულ 50 მლ ბენზოლს. ვადუღებდით წყლის აბაზანაზე 3 სთ განმავლობაში. ნარევის გაცივების შემდეგ ბენზოლის ფენას გამოვყოფდით, წყლიანს ორჯერ ვწვლილავ-დით 15-15 მლ ბენზოლით. გაერთიანებულ ბენზოლიან გამონაწვლილს ვრეცხავდით წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, განეიტრალებულ ბენზოლის ფენას ვამუშვებდით კალიუმის ტუტის ნაჯერი ხსნარით მეთანოლში, ბენზოლიან ფენას კვლავ ვრეცხავდით წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, ვაუწყლოებდით უწყლო ნატრიუმის სულფატით და ვასქელებდით. ვღებულობ-

დით სტეროიდული საპოგენინების ჯამს 0.91 გ. აღმოჩნდა, რომ *D. ferruginea*-ს პერიკარპიუმში ძირითადი საპოგენინებია: დიგიტოგენინი, ტიგოგენინი და გიტოგენინი.

D. ferruginea-ს პერიკარპიუმიდან სხვადასხვა ნივთიერებებით გამდიდრებული ჯამის გამოყოფას შემდეგნაირად ვახდენდით: ჰაერმშრალი, დაწვრილმანებული პერიკარპიუმის 100 გ ვწვლილავდით 80 % მეთანოლით 3 ჯერადად მდუღარე წყლის აბაზანაზე გამხსნელის დუღილის ტემპერატურაზე 2 სთ-ის განმავლობაში. გაერთიანებულ ექსტრაქტებს ვფილტრავდით ბიუხნერის ძაბრში, ვასქელებდით ვაკუუმ–როტაციულ აპარატზე სპირტის სრულ მოცილებამდე, დარჩენილ წყლიან ნაშთს ვწვლილავდით ქლოროფორმით, წყლიან სითხეს შევასქელებდით და ნაშთს ვაშრობდით ვაკუუმ-მაშრობ კარადაში ფოსფორმჟავას ანჰიდრიდის თანაობისას. ქლოროფორმით იწვლილება ნაკლებ პოლარული ნივთიერებები.

ქიმიური შედგენილობის შესწავლის ობიექტად ქლორო-ფორმით გასუფთავებულ წყლიან ნაშთს ვიყენებდით.

გამშრალი მასა გადაგვქონდა Diaion HP-20-ის სვეტზე, ელუირებას ვახდენდით წყლით, 50, 80 და 100 % მეთანოლით. მიღებულ ფრაქციებს ვასქელებდით ვაკუუმ-როტაციულ აპარატზე სპირტის სრულ მოცილებამდე, ვაშრობდით ვაკუუმ მაშრობ კარადაში. შედეგად ვღებულობდით პოლარული ნივთიერებებით და სტეროიდული გლიკოზიდებით გამდიდრებულ ჯამებს.

50, 80 და 100 % ფრაქციის 3-3 გ დაყოფას ვაგრძელებდით Sephadex LH-20-ის სვეტზე (5X100 სმ) მეთანოლით. მიღწეული იქნა გლიკოზიდთა ჯამების უხეში დაყოფა, რომლებსაც შემდგომში ვატარებდით სხვადასხვა ზომის სილიკაგელის

(63/100; 40/63) სვეტებზე. ელუირებას ვახდენდით სისტემით ქლოროფორმი-მეთანოლი-წყალი 26:14:3;

შედეგად, *D. ferruginea*-ს პერიკარპიუმიდან გამოყოფილია 9 სტეროიდული გლიკოზიდი, 2 კარდენოლიდი, 3 ფენილეთანოიდი და ოლიგოსაქარიდი.

თითოეული ინდივიდუალური ნივთიერების სრული ქიმიური სტრუქტურა დადგინდა ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით, ერთ- და ორგანზომილებიანი ბირთვულ მაგნიტურ რეზონანსული (^{1}H, ^{13}C NMR, HSQC, HMBC, COSY) და მასსპექტროსკოპიის გამოყენებით.

2.3 მიღებული შედეგები და მათი განხილვა

კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლეთ *D. ferruginea*-ს სტეროიდული გლიკოზიდები. სხვადასხვა ადსორბენტებზე განაწილებითი და ადსორბციული ქრომატოგრაფირებით პერიკარპიუმიდან იზოლირებული და დახასიათებულია დიგიტოგენინის, ტიგოგენინის და გიტოგენინის წარმოებული 9 სპირო- და ფუროსტანოლური გლიკოზიდი: (25R)-5α-ფუროსტ-20(22)-ენ-3β,26-დიოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გალაქტოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი (ნივთიერება 1); (25R)-5α-ფუროსტან-2α,3β,15β,22α,26-პენტაოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გალაქტოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი (ნივთიერება 2); (25R)-5α-სპიროსტან-2α,3β-დიოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)-O-β-D-გალაქტოპირანოზილ-(1→2)]-O-β-

D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი (ნივთიერება 3); (25R) 5α-ფუროსტ-20(22)-ენ-2α,3β,26-ტრიოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი; (25R) 5α-ფუროსტან-2α,3β,22α,26-ტეტრაოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი; (25R) 5α-სპიროსტან-2α,3β-დიოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი; დეზგლუკოდიგიტონინი; დიგიტონინი; კაპსიკოზიდი B_1.

მათ შორის 1, 2 და 3 ახალი ორგანული ნივთიერებებია.



ნივთიერება 1



ნივთიერება 2



ნივთიერება 3

Digitalis ferruginea-ს პერიკარპიუმიდან გამოყოფილია ოლიგოსაქარიდი სტრუქტურით - β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-3-O-აცეტილ-β-D-დიგიტოქსოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგიტოქსოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგიტოქსოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგიტოქსოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-კანაროპირანოზილ-(1→4)-O-β-D-კანაროპირანოზიდი, ორი კარდენოლიდი: 3β,14β,16β-ტრიჰიდროქსი-5β-კარდ-20(22)-ენოლიდ 3-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგიტალოპირანოზიდი - დიგიტალინუმ ვერუმი და 3β,14β,16β-ტრიჰიდროქსი- 5β-კარდ-20(22)- ენოლიდ 3-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)-O-β-D-დიგიტალოპირანოზიდი - ნეოდიგიტალინუმ ვერუმი. იზოლირებულია, აგრეთვე სამი ფენილეთანოიდი: მაქსოზიდი, პურპურეოზიდი E და 2-(3-მეთოქსი,4-ჰიდროქსიფენილ)ეთილ O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)-O-[α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)]-[α-L-არაბინოპირანოზილ-(1→2)]-4-*O-(E)*-ფერულოილ-β-D-გლუკოპირანოზიდი, რომელსაც **ფერუგოზიდი A** ეწოდა.



ფერუგოზიდი A

2.4 ნაშრომის პრაქტიკული გამოყენება

დიგიტონინი ბუნებრივ ნივთიერებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კლასის სტეროიდული გლიკოზიდების წარმომადგენელია. იგი შედგება საპოგენინ დიგიტოგენინისა და ხუთი მოლეკულა მონოსაქარიდისგან - 2 გლუკოზა, 2 გალაქტოზა და ერთი ქსილოზა.

დიგიტონინი შეუცვლელი ქიმიური რეაქტივია. ქოლესტერინთან და ზოგიერთ სხვა ბუნებრივ ნივთიერებასთან უხსნად, მყარ კომპლექსურ ნაერთს ე.წ. „დიგიტონიდს“ წარმოქმნის; ამავე დროს, უნიკალური სტერეოსპეციფიკურობით ხასიათდება - უერთდება 3β ოქსისტეროიდებს, ხოლო 3α ეპიმერებთან კომპლექსს არ ჰქმნის. დიგიტონინის ეს თვისება ნივთიერებათა ანტიპოდების ნარევის დასაყოფად გამოიყენება. დიგიტონინი ფართოდ იხმარება მცენარეული და ცხოველური სტეროიდების და რიგი სხვა ბუნებრივი ნივთიერების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის, მიღებისა და შესწავლისათვის, როგორც დეტერგენტი უჯრედების მემბრანის სოლუბილიზაციისა და მოდიფიცირებისთვის.

ბიოქიმიური კვლევების განვითარებასთან ერთად მკვეთრად იზრდება დიგიტონინზე მოთხოვნილება.

დიგიტონინის ერთადერთ წყაროს მცენარე *Digitalis*-ის - სათითურას, კერძოდ კი *Digitalis purpurea* - ძოწი და *D. lanata* - ბუსუსოვანი სათითურას თესლები წარმოადგენენ.

მცენარიდან დიგიტონინის მიღების რამდენიმე მეთოდი არსებობს, რომლებიც, ძირითადად, ქოლესტერინთან კომპლექსის წარმოქმნაზეა დამყარებული, შემდგომში მისი დაშლა პირიდინთან გაცხელებით და მრავალჯერადი გასუფთავებით ხორციელდებოდა. არსებული მეთოდები მრავალსტადიანია და ტექნიკურად შრომატევადი, გამხსნელების, რეაქტივების დიდ ხარჯთან არიან დაკავშირებული, საბოლოო პროდუქტის შედარებით დაბალი გამოსავლის დროს.

დიგიტონინის ღირებულება მაღალია და საერთაშორისო ბაზარზე 1 გ-ის ფასი 250-500 ამერიკული დოლარს შეადგენს.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში აკად. ე. ქემერტელიძემ დიგიტონინის მიღების გამარტივებული მეთოდი შეიმუშავა, რომელიც მიჩნეული იქნა გამოგონებად და გაიცა საბჭოთა კავშირის საავტორო მოწმობა, მეთოდი დაპატენტებულია ინგლისში, გერმანიაში და შვეიცარიაში. მაგრამ საქართველოში მოზარდი *Digitalis ferruginea* - ჟანგოვანა სათითურას თესლებიდან დიგიტონინის მიღება გართულებულია. მის თესლებში დიდი რაოდენობით გროვდება ქლოროფილი და საბოლოო პროდუქტი მომწვანო ფერისაა.

ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ჩვენ შევიტანეთ ცვლილება დიგიტონინის მიღების მეთოდში, რაც შემდგომში მდგომარეობს.

საქართველოში დაბა ბაკურიანის მიდამოებში შეგროვილ ჰ/მ დაწვრილმანებულ ჟანგოვანა სათითურას თესლებს ვათავსებ-

დით სოქსლეტის ტიპის აპარატში და ვწვლილავდით ქლოროფორმით გამონაწვლილის გაუფერულებამდე. ამ პროცესში ქლოროფორმით იწვლილება ქლოროფილი და ცხიმოვანი ზეთი, რომლის გამოსავალი 30 %-ს შეადგენს.

ლიპოფილური ნივთიერებებისგან განთავისუფლებულ თესლებს ვათავსებდით ექსტრაქტორში ვუმატებდით 4-5 მაგ რაოდენობა 80 % ეთილის (ან მეთილის) სპირტს და ვაცხელებდით წყლის აბაზანაზე გამხსნელის დუღილის ტემპერატურაზე 1 საათის განმავლობაში 3 ჯერადად. გაერთიანებულ ექსტრაქტებს ვაცენტრიფუგირებდით და ვათავსებდით ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ პროცესს გაუმჯობესებული (ე. ქემერტელიძე) მეთოდით ვაგრძელებდით.

ამგვარად, ვღებულობდით დიგიტონინს თეთრი ფერის ფხვნილის სახით (ლღ. ტემპ. 248-250°C, $[\alpha]^{20}_{D}$-49°C (C – 1.10; ძმარმჟავა). 1.2 %-ის ოდენობით, რაც თავისი თვისებებით შეესაბამება სუფთა კომერციულ პროდუქტს.

PASS და ACD/I-Lab გამოყენებით დადგინდა*D. ferruginea*-ს ფოთლების ექსტრაქტის მოსალოდნელი მრავალმხრივი სპეციფიკური ფარმაკოლოგიური აქტივობა: პროაპოპტური (73,8 %), ოქსიდორედუქტაზას ინჰიბიტორი (74,7 %), ფუნგიციდური (75 %), Caspase 8 სტიმულატორი (76,3 %), იმუნოსუპრესული (77,9 %), ანტიქოლესტერინემული (81,9 %), დიურეზული (84,6 %), კარდიოტონური (85,7 %), ანტიკანცეროგენური (86,7 %), ანალეფსური (87,3 %), ანტინეოპლასტიკური (89 %), ქემოპრევენციული (90,9 %), ანტიპროტოზოური (95,2 %), ანტიპროლიფერაციული (95,9 %), ზოგად საანესთეზიო (97,4 %) და Caspase 3 სტიმულატორი (97,8 %). მიღებული შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია*Digitalis ferruginea*-ს ფოთლების ექსტრაქტის გაღრმავებული შესწავლა, განსაკუთრებით სიმსივნის ქემოპრევენციის მიმართულებით.

2.5 დასკვნები

1. საქართველოში მოზარდი *Digitalis ferruginea* – ჟანგოვანა სათითურას ცალკეული ორგანოების ძირითადი ნაწილია ღერო 40,7 %, ფოთოლი 31,8 %, პერიკარპიუმი 12,3 %, ფესვი 11,7 % და ბოლოს თესლი 3,3 %. სტეროიდული ნივთიერებებით ყველაზე მდიდარია პერიკარპიუმი

2. *D. ferruginea* – ჟანგოვანა სათითურაში ამ გვარის თითქმის ყველა აგლიკონის: დიგიტოქსიგენინის, გიტოქსიგენინის, დიგინატიგენინის და დიგოქსიგენინის წარმოებული კარდენოლიდები მჟღავნდება. ძირითად კარდენოლიდებს დიგიტოქსიგენინის ნაწარმი გლიკოზიდიები შეადგენენ, რაც რადიკალური საგულე გლიკოზიდების - დიგიტოქსინისა და აცეტილდიგიტოქსინის მიღების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს

3. *D. ferruginea*-ს პერიკარპიუმიდან იზოლირებული და დახასიათებულია 9 სტეროიდული გლიკოზიდი, მათგან 3 ახალი და 6 ცნობილი ორგანული ნივთიერებაა, რომელთა სტრუქტურები დადგენილია.
   - (25R)-5α-ფუროსტ-20(22)-ენ-3β, 26-დიოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გალაქტოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი;
   - (25R)-5α-ფუროსტან-2α, 3β, 15β, 22α, 26-პენტანოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გალაქტოპირანو-ზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი;
   - (25R)-5α-სპიროსტან-2α,3β-დიოლ3-O-β-D-ქსილოპირა-ნოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)-O-β-D-

გალაქტოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი;

ცნობილი გლიკოზიდებია:

- ❖ დეზგლუკოდიგიტონინი;
- ❖ დიგიტონინი;
- ❖ კაპსიკოზიდი B_1;
- ❖ (25R) 5α-ფუროსტ-20(22)-ენ-2α,3β,26-ტრიოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქ-ტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი;
- ❖ (25R) 5α-ფუროსტან-2α,3β,22α,26-ტეტრაოლ 3-O-β-D-ქსი-ლოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქ-ტოპირანოზილ 26-O-β-D-გლუკოპირანოზიდი;
- ❖ (25R) 5α-სპიროსტან-2α,3β-დიოლ 3-O-β-D-ქსილოპირა-ნოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი.

4. *D. ferruginea*-ს პერიკარპიუმიდან გამოყოფილია ოლიგო-საქარიდი სტრუქტურით - β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-3-O-აცეტილ-β-D-დიგიტოქსოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგიტოქსოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგიტოქსოპირა-ნოზილ- (1→4) -O-β-D-დიგიტოქსოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-კანაროპირანოზილ-(1→4)-O-β-D-კანაროპირანოზიდი

5. 3 ფენილეთანოიდი, რომელთაგან ერთი ახალი ორგანული ნივთიერებაა სტრუქტურით: 2-(3-მეთოქსი,4-ჰიდროქსიფე-ნილ)ეთილ O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)-O-[α-L-რამნო-პირანოზილ-(1→6)]-[α-L-არაბინოპირანოზილ-(1→2)]-4-*O-(E)*-ფერულოილ-β-D-გლუკოპირანოზიდი, რომელსაც

ფერუგოზიდი A ეწოდა, 2 კი ცნობილი აღმოჩნდა: მაქსოზიდი და პურპურეოზიდი E

6. *D. ferruginea*-ს პერიკარპიუმიდან იზოლირებულია 2 კარდენოლიდი შემდეგი ქიმიური სტრუქტურით: 3β,14β,16β-ტრიჰიდროქსი-5β-კარდ-20(22)-ენოლიდ 3-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგიტალოპირანოზი-დი ანუ დიგიტალინუმ ვერუმ და 3β,14β,16β-ტრიჰიდროქსი-5β-კარდ-20(22)-ენოლიდ 3-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)-O-β-D-დიგიტალოპირანოზიდი - ნეოდიგიტალინუმ ვერუმ

7. ნივთიერებათა სტრუქტურები დადგენილია კლასიკური ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით და თანამედროვე სპექტრული ანალიზების - ერთ- და ორგანზომილებიანი ბმრ (1H, 13C, HSQC, HMBC, COSY) და მას-სპექტროსკოპიის (ESI/MS) გამოყენებით

8. მოწოდებულია საქართველოში მოზარდი *D. ferruginea*-ს თესლებიდან შეუცვლელი ქიმიური რეაქტივის, კომერციული დიგიტონინის გამოყოფის გაუმჯობესებული ხერხი, მისი გამოსავალი 1,2 % შეადგენს და შეიძლება გამოყენებული იქნას ამ ძვირფასი რეაქტივის წარმოებისათვის

9. ნაჩვენებია *D. ferruginea*-ს ექსტრაქტის მოსალოდნელი მრავალმხრივი სპეციფიკური ფარმაკოლოგიური აქტივობა: პროაპოპტური (73,8 %), ოქსიდორედუქტაზას ინჰიბიტორი (74,7 %), ფუნგიციდური (75 %), Caspase 8 სტიმულატორი (76,3 %), იმუნოსუპრესული (77,9 %), ანტიქოლესტერი-ნემული (81,9 %), დიურეზული (84,6 %), კარდიოტონური (85,7 %), ანტიკანცეროგენური (86,7 %), ანალეფსური (87,3

%), ანტინეოპლასტიკური (89 %), ქემოპრევენციული (90,9 %), ანტიპროტოზოური (95,2 %), ანტიპროლიფერაციული (95,9 %), ზოგად საანალგეზიო (97,4 %) და Caspase 3 სტიმულატორი (97,8 %). მიღებული შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ექსტრაქტის გაღრმავებული შესწავლა, განსაკუთრებით სიმსივნის ქემოპრევენციის მიმართულებით

10. *D. ferruginea*-ს საქართველოში ფართოდ გავრცელება და მისი მდიდარი ქიმიური შედგენილობა, სხვადასხვა თვისებების მქონე ნივთიერებების ნედლეულად შეიძლება ჩაითვალოს

11. მიზანშეწონილება მოითხოვს გაგრძელდეს *D. ferruginea* სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების საკითხი კარდიოტონული პრეპარატების მისაღებად.

12. მაგრამ *D. ferruginea* -ჟანგოვანა სათითურას შესწავლის და გამოყენების საკითხი ამით არ ამოიწურება, მოსალოდნელია კიდევ ახალი კომპონენტების აღმოჩენა და საინტერესო ბიოლოგიური აქტივობის დადგენა

3. დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

სტატიები:

1. A. Skhirtladze, T. Kopaliani, V. Nebieridze, E. Kemertelidze and M. Ganzera. New steroidal glycosides from pericarp of *Digitalis ferruginea*, Chemistry of natural compounds, 2017, 63(6), 1083-1087

2. თ. კოპალიანი, ვ. ნებიერიძე, ა. სხირტლაძე, ნ. საყვარელიძე, ე. ქემერტელიძე. მ. განცერა. ახალი ფენილეთანოიდი *Digitalis ferruginea* L.-დან. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2017, 43(2), 206-209

3. თ.კოპალიანი, ვ.ნებიერიძე, ა.სხირტლაძე, ე.ქემერტელიძე, მ.განცერა. ოლიგოსაქარიდი და კარდენოლიდები *Digitalis ferrugenea* L. პერიკარპიუმიდან. საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 2017, 17(1), *in press*

თეზისები:

1. თ. კოპალიანი, ვ. ნებიერიძე. *Digitalis ferrugenea* L. პერიკარპიუმის ფენილეთანოიდური გლიკოზიდები“ ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია. 2017, 2-3 ნოემბერი, თბილისი.

2. T. Kopaliani, A. Skhirtladze, V. Nebieridze, E. Kemertelidze. M. Ganzera. Steroidal and cardiac glycosides from the pericarp of *Digitalis ferruginea* L. New and old phytochemicals: their role in ecology, veterinary and welfare, 2017, 17-20 September, Pescara, Italy

3. თ. კოპალიანი, ვ. ნებიერიძე, ნ. საყვარელიძე, ა. სხირტლაძე, მ. განცერა, ე. კემერტელიძე. Digitalis ferrugenea-ს პერიკარპიუმის ქიმიური შედგენილობის შესწავლისათვის. მესამე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, 2016, 24-25 ოქტომბერი, თბილისი.

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

On the rights of manuscript

School (Department) of Informatics, Mathematics and Natural Sciences

Educational Program - Chemistry of biologically active substances and medicinal expertise

Tamar Kopaliani

Study of chemical composition of the plant *Digitalis ferruginea*

Abstract

Of thesis on academic degree of Doctor of Natural Sciences

05 Sciences/natural sciences

Branch/specialty – 0503 chemistry

Tbilisi

2018

Scientific paper has been performed in TSMU Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry and Informatics, Mathematics and Natural Sciences of the St. Andrew the first-called Scientific University of the Georgian Patriarchate.

Scientific Supervisor: **Aleksandre Skhirtladze**
Doctor of Pharmaceutical Sciences, Professor

Official Opponents: **Nugzar Aleksidze**
Doctor of Biology, Professor

Mariam Benidze
Academic Doctor of Pharmaceutical Sciences, Professor

Defence of the thesis will be held on 2018 at" _____" ____ o'clock at St. Andrew the first-called Scientific University of the Georgian Patriarchate, School (Department) Informatics, Mathematics and Natural Sciences, at the meeting of dissertation committee of Schools (Departments)

Address: 0162, Tbilisi, № 53a Ilia Chavchavadze Ave., II Housing Assembly Hall. Ilia Vekua's auditory 104.
Dissertation text is available at St. Andrew the first-called Scientific University of the Georgian Patriarchate.

The abstract of the thesis is sent on "_____" 2018

Secretary of Dissertation Council,
Candidate of Technical Sciences, Proffesor

Temur Kiviladze

1. General characterization of the work

1.1. Relevance of the topic

Despite the greatest success of organic synthesis, natural substances, including those of vegetable origin, occupy a special place in the field of creation of medicinal drugs. Lately, the resistance (adaptability) of many diseases to antibiotics, sulfanilamide's and other synthetic drugs and their undesirable side effects have caused increased interest in herbal medicines worldwide.

